ანსამბლი
„ხოინამი"
გრიგოლ ქართველი

გრიგოლ (გრიშა) ქსოვრელი

გრიგოლ ქსოვრელი დაიბადა 1920 წელს ქ.თბილისში. პატარა გრიგოლს მუსიკა თავიდანვე იტაცებდა. განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულმა მოზარდმა 12 წლის ასაკიდან უკვე არაერთი საბავშვო მუსიკალური კოლექტივი ჩამოაყალიბა.

1935 წ. გრიგოლი ბავშვთა მუსიკალურ ანსამბლს სათავეში რუსულ მოზარდ მაყურებელთა თეატრშიც ჩაუდგა, სადაც კონსულტანტად მედუდუკე მიხეილ სუქიასოვი მიიწვიეს. დუდუკის დიდი სიყვარული გრიგოლს ბავშვობიდანვე გაუჩნდა, თუმცა ამ მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრის ყველა წესი მან სწორედ სუქიასოვისგან შეისწავლა.

1937 წ. გრიგოლი კრუპსკაიას სახელობის კლუბში თვითმოქმედ ანსამბლს აყალიბებს. სკოლის დამთავრების შემდეგ კი, ანსამბლის ხელმძღვანელი ხდება. ეს იყო მისი პირველი ანაზღაურებადი სამსახური და ასევე მისი პირველი გამოსვლა საქართველოს რადიოთი.

1941 წ. გრიგოლ ქსოვრელი სამამულო ომში გაიწვიეს. სმოლენსკთან იგი ხელში მძიმედ დაიჭრა. ხელის შენარჩუნება თითქმის შეუძლებელი იყო, თუმცა გრიგოლის უნიკალური ნიჭის გათვალისწინებით, ექიმებმა უმძიმესი ოპერაციის შედეგად მუსიკოსს ხელი მაინც შეუნარჩუნეს. 1943 წ. მე-2 ჯგუფის ინვალიდი გრიგოლი საქართველოში დაბრუნდა. ის საბრძოლო მამაცობისათვის დაჯილდოვებული იყო ,,სამამულო ომის მე-2 ხარისხის ორდენით" და მედლებით: ,,მოსკოვის დაცვისათვის" და ,,დიდ სამამულო ომში გერმანიაზე გამარჯვებისთვის".

ომიდან დაბრუნებული გრიგოლ ქსოვრელი 1943 წ. პლეხანოვის სახელობის კლუბთან არსებულ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში ორკესტრის ხელმძღვანელად იწყებს მუშაობას. 1944 წლიდან კი საქართველოს რესპუბლიკური მილიციის სამმართველოში არსებულ მედუდუკეთა ანსამბლს ხელმძღვანელობს.

1949 წ. გრიგოლ ქსოვრელი ჯანო ბაგრატიონთან ერთად საესტრადო ანსამბლს აყალიბებს, სადაც მხატვრული ხელმძღვანელი ჯანო ბაგრატიონი, ხოლო ორკესტრის ხელმძღვანელი კი გრიგოლ ქსოვრელი იყო. ანსამბლში გრიგოლი მუსიკოსად, მომღერლად და სახასიათო თუ კომიკური ცეკვების შემსრულებლად ერთდროულად მოღვაწეობდა.

1962 წ. გრიგოლ ქსოვრელი მედუდუკეთა ანსამბლ „სოინარს" ჩაუდგა სათავეში. ანსამბლს დიდი წარმატება ხვდა წილად. მინიჭებული ჰქონდა ფესტივალის ლაურიატის წოდება, მედლები და პირველი ხარისხის დიპლომები.

გრიგოლ ქსოვრელი მრავალი ფესტივალისა და კონკურსის ლაურიატია. 1961 წ. იგი საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ სიგელით დაჯილდოვდა. 1962 წ. საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ დაჯილდოვდა პიველი ხარისხის დიპლომით და ოქროს მედლით ინდივიდუალურ შემსრულებელთა კონკურსში გამარჯვებისთვის. 1978 წ. გრიგოლ ქსოვრელი „შრომის ვეტერანის" მედლით დააჯილდოვეს, ხოლო 1980 წ. ქართული კულტურის განვითარების საქმეში გაწეული დიდი ღვაწლისათვის მას რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდებაც მიენიჭა.

1985 წ. ერევანში ჩატარდა დიდი მუსიკალური კონკურსი სახელწოდებით: ,,თბილისი, ბაქო, ერევანი", სადაც ,,სოინარი" დიდი წარმატებით წარსდგა და პირველი ადგილი მოიპოვა, თავად გრიგოლ ქსოვრელს კი პირველი ხარისხის დიპლომი გადაეცა.

გრიგოლ ქსოვრელი საკომპოზიტორო მოღვაწეობასაც ეწეოდა. იგი მრავალი სიმღერისა და მუსიკალური ნაწარმოების ავტორია. ხშირად აფორმებდა კონცერტებსა და სხვადასხვა მუსიკალურ დადგმებს საქართველოს რადიოსა და ტელევიზიაში. შესრულებული აქვს არაერთი ეპიზოდური კინოროლი, გახმოვანებული აქვს ფილმები: ,,მაია წყნეთელი", ,,ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება", -,,ქალაქი ანარა", ,,წყალდიდობა", ,,დაბრუნებული ღიმილი", ,,ფიროსმანი", ,,ლონდრე", ,,ბებერი მეზურნეები", ,,მთვარის მოტაცება" და ,,მზე შემოდგომისა". მან ასევე გაახმოვანა სპექტაკლები ,,იეთიმ გურჯი" და ,,ბებერი მეზურნეები".

გრიგოლი, როგორც მუსიკოს-შემსრულებელი, ბევრს მოგზაურობდა უცხოეთში და მონაწილეობდა სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსებსა თუ ფესტივალებში. 1971 წ. ესტონეთში გადაიღეს ფილმი ,,გამარჯვება საქართველო" სადაც გრიგოლ ქსოვრელმაც მიიღო მონაწილეობა. ჩეხეთში კი მან გაახმოვანა ფილმი ,,ალიბაბა და ორმოცი ყაჩაღი".

გრიგოლ ქსოვრელის მიერ ქართულ დუდუკზე შესრულებული ჰანგები ყოველთვის აღაფრთოვანებდა ქართველ თუ უცხოელ მსმენელსა და მუსიკალური სამყაროს წარმომადგენლებს. მას საქართველოში და უცხოეთში გამოშვებული აქვს ბევრი ფირფიტა. მიწვეული იყო ავსტრიასა და გერმანიაში კომპაქტდისკების ჩასაწერად. ჟურნალ-გაზეთებში გრიგოლ ქსოვრელის მოღვაწეობაზე მრავალი წერილი თუ სტატიაა დაწერილი. 1992 წ. გამოვიდა თამარ გომართელის წიგნი ,,არასდროს დაიბინდება", სადაც გრიგოლ ქსოვრელს, როგორც ქართული მუსიკალური კულტურის ერთ-ერთ თვალსაჩინო მოამაგეს, გარკვეული ადგილი უჭირავს.

1994 წლის 30 ნოემბერს გრიგოლ ქსოვრელი გარდაიცვალა.

დიდია ბატონი გრიგოლის დამსახურება ქართული მუსიკალური კულტურის წინაშე. მან ქართული დუდუკის მთელი ეპოქა შექმნა და ქართველ მედუდუკეთა დიდი პლეადა აღზარდა. მოწაფეები დიდ მასწავლებელს ,,გრიშა პაპას" ეძახდნენ.

გრიგოლ ქსოვრელის სახელი არსებობას მისი გარდაცვალების შემდეგაც აგრძელებს . დიდი მასწავლებლის საქმე მოწაფეებმა გააგრძელეს. ანსამბლი ,,სოინარი" დღეს უკვე მისი დამაარსებლის სახელს ატარებს. ,,ქსოვრელები" - ჩვენ სწორედ ამ სახელით ვიცნობთ იმ მუსიკოსებს, რომლებიც გრიგოლ, იგივე გრიშა ქსოვრელის დანატოვარ ჰანგს დღესაც აჟღერებენ.

Grigol (Grisha) Ksovreli

Grigol Ksovreli was born in 1920 in Tbilisi. Little Grigol from the very beginning took a great interest in music. The teenager, endowed with particular musical talent, at the age of 12 already had formed more than one musical group.

In 1935 Grigol headed Children's Musical Ensemble at the Russian Youth Theatre where the duduk player Mikheil Sukiasov was invited to as a consultant. Great love for duduk arose in Grigol since the very childhood though it was Sukiasov from whom he learned all the rules of playing this musical instrument.

In 1937 Grigol formed an amateur ensemble in Krupskaya Club. And after leaving school he became Director of the ensemble. That was his first paid work and his first performance by Georgian radio.

In 1941 Grigol Ksovreli was called up for the Great Patriotic War. In the environs of Smolensk he was badly wounded in the arm. It was almost impossible to preserve the arm, however, taking into consideration Grigol's unique talent the doctors managed to preserve the arm as a result of capital operation. In 1943 Grigol, a disabled person of group II, came back to Georgia. For battle bravery he was awarded the Order of the Patriotic War of the 2nd Class and medals "For the Defense of Moscow" and "For Victory over Germany in the Great Patriotic War".

In 1943 Grigol Ksovreli, returned from the war, starts working as Leader of the orchestra in Song and Dance Ensemble at Plekhanov Club. And from 1944 he headed Duduk Players' Ensemble at Republican Police Department of Georgia.

In 1949 Grigol Ksovreli together with Jano Bagrationi formed a variety ensemble the creative director of which was Jano Bagrationi and Grigol Ksovreli was Leader of the orchestra. Grigol was engaged in the ensemble as a musician, a singer and character or comic dances performer simultaneously.

In 1962 Grigol Ksovreli headed Duduk Players' Ensemble "Soinar". A great success fell to the ensemble's lot. It was bestowed the title of Festival Laureate, was awarded medals and first place diplomas.

Grigol Ksovreli is a laureate of numerous festivals and competitions. In 1961 he was awarded Letter of Commendation by the Presidium of the Supreme Soviet of Georgia. In 1962 he was awarded First Place Diploma and Gold Medal by the Ministry of Culture of Georgia for winning the competition of individual performers. In 1978 Grigol Ksovreli was awarded the medal "For veteran of labor" and in 1980 he was bestowed the title of Honored Artist of the republic for great services rendered for development of Georgian culture.

In 1985 a great music competition was held in Yerevan named: "Tbilisi, Baku, Yerevan", where "Soinar" performed with great success gained the lead and Ksovreli himself was awarded First Place Diploma.

Grigol Ksovreli carried out also composer's activities. He is the author of many songs and musical compositions. Often he executed concerts and different musical performances on Georgian radio and television. He has played more than one secondary roles in movies, has post-synched the films: "Maya Tskneteli", "Someone is Late for Bus", "Town Anara", "Flood", "Returned Smile", "Pirosmani", "Londre", "Old Zurna Players" "Stealing of the Moon" and "Autumn Sun". He has also post-synched performances "Ietim Gurji" and "Old Zurna Players". Grigol, as a musician, travelled abroad a lot and participated in different international competitions and festivals. In 1971 in Estonia the film "Victory Georgia" was shot, in which Grigol Ksovreli also played a part. And in the Czech Republic he post-synched the film "Alibaba and Forty Robbers".

Grigol Ksovreli is a laureate of numerous festivals and competitions. In 1961 he was awarded Letter of Commendation by the Presidium of the Supreme Soviet of Georgia. In 1962 he was awarded First Place Diploma and Gold Medal by the Ministry of Culture of Georgia for winning the competition of individual performers. In 1978 Grigol Ksovreli was awarded the medal "For veteran of labor" and in 1980 he was bestowed the title of Honored Artist of the republic for great services rendered for development of Georgian culture.

In 1985 a great music competition was held in Yerevan named: "Tbilisi, Baku, Yerevan", where "Soinar" performed with great success gained the lead and Ksovreli himself was awarded First Place Diploma.

Grigol Ksovreli carried out also composer's activities. He is the author of many songs and musical compositions. Often he executed concerts and different musical performances on Georgian radio and television. He has played more than one secondary roles in movies, has post-synched the films: "Maya Tskneteli", "Someone is Late for Bus", "Town Anara", "Flood", "Returned Smile", "Pirosmani", "Londre", "Old Zurna Players" "Stealing of the Moon" and "Autumn Sun". He has also post-synched performances "Ietim Gurji" and "Old Zurna Players". Grigol, as a musician, travelled abroad a lot and participated in different international competitions and festivals. In 1971 in Estonia the film "Victory Georgia" was shot, in which Grigol Ksovreli also played a part. And in the Czech Republic he post-synched the film "Alibaba and Forty Robbers".

1. დილის საარი
2. ჩემს სიმღერას ვინ გაიგებს
3. ჯოყური
4. შატილის ასულო
5. მთიელთა ცეკვა
6. იჯაზი
7. სიყვარულის მგოსანი ვარ
8. ცეკვა ბაღდადური
9. გამოთხოვება
10. შუშტარი
11. მეც დრო მქონდა
12. ჯოყა ბიჭო
13. ცეკვა ქართული
14. ორთავ თვალის სინათლევ
15. მხოლოდ შენ მნაამლი
16. ზამთრის შინვა
17. ას, აკზურნევ
18. ქსოვრელები მღერიან

© ℗ 2013 ანს "სონარი"
საავტორო უფლებები დაცულია
ტირაჟირება – "სანო მულტი მედია"
თბილისი, ნუცუბიძის 50.
ტელ.: +995 32 2399002
www.sanostudio.ge www.sanostudio.net